

XI—XII სს. საქართველოში სამართლებრივი კულტურის დონის წარმოსადგენად განსაკუთრებით საყურადღებოა ექვთიმე მთაწმინდელის მიერ „მცირე სჯულისკანონის“ თარგმნა XI ს. დამდევს. ესაა საეკლესიო, სამოქალაქო და სისხლის სამართლის კანონმდებლობის ერთგვარი ენციკლოპედია, რომელიც ექვთიმემ ქართულ ნიადაგზე გადაამუშავა და შექმნა მისი სრულიად ახალი, ქართული რედაქცია, რომელშიც აისახა როგორც ბიზანტიური, ისე იმდროინდელი ქართული საეკლესიო სამართლებრივი კულტურა. ამ შემადგენლობის სხვა კრებულს არ იცნობს არც ბიზანტიური, არც ქრისტიანული აღმოსავლეთის სხვა ქვეყნების საეკლესიო სამართლის ისტორია. ამდენად, იგი წმინდა ქართული მოვლენაა.

კრებულს ერთვის თვით ექვთიმე მთაწმინდელის ზოგადი მოძღვრება ბოროტმოქმედების შესახებ. მასში განმარტებულია ზოგიერთი იურიდიული ცნება, მოცემულია მკვლევლობის სხვადასხვა სახეობის კვალიფიკაცია.

ამ დროისათვის ქართულ სამართალს უკვე დიდი ხნის შეთვისებული ჰქონდა „ბრალის“ ცნება. უფრო მეტიც, — იგი ერთმანეთისაგან განასხვავებდა ბრალის სხვადასხვა ფორმას. ექვთიმე მთაწმინდელი ბრალის ფორმებიდან განარჩევს განზრახვას, გაუფრთხილებელ მოქმედებას და შემთხვევას.

საინტერესოა ისიც, რომ ექვთიმე მთაწმინდელი იძლევა გაუფრთხილებლობის ცნების დიფერენციაციასაც და გამოყოფს მის ისეთ სახეს, რომელიც „მახლობელ არს ნებსითა ვაცთა ვლვასა“.

ცხადი ხდება, რომ ქართულ სამართალში ბრალის ფორმების დამუშავების საკითხი ბიზანტიური სამართლის დონეზე იდგა.

განვითარების მაღალი საფეხურისთვის მიუღწევია პროცესულურ სამართალსაც. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა ბაგრატ IV ცნობილი ოპიზის სიგელი. მასში აღწერილია სასამართლო პროცესი, რომელიც ორ მონასტერს (ოპიზისა და მიჯნაძორის) შორის მამულებისათვის დავის გამო გამართულა. სასამართლო პროცესს თვით მეფე ხელმძღვანელობდა. როგორც მეფე სიგელში მოგვითხრობს, სასამართლო პროცესამდე მას წინასწარ მიუღია მოღავე მხარეები, მოუსმენია მათთვის და გასცნობია მათ მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებს (მიჯნაძორელთ წარმოდგენიათ ერისთავთერისთავ გურგენის, მეფე გურგენის, მისი შვილის ბაგრატ III და ამ უკანა-

სენელის ძის გიორგი I სიგელები, ოპიზარი კი — გუარამ მამფალის მიერ ოპიზის მონასტრისათვის ბოძებული სიგელი). ამის შემდეგ მას მოუწევია „მეცნიერნი საბჭოთა საქმისანი“ და სასამართლოს სხდომა დაუნიშნავს. სხდომის დროს კითხვობენ ორივე მხარის მიერ წარმოდგენილ ყველა საბუთს („წავიკითხნით მათნიცა და მათნიცა დაწერილინი“), ისმენენ მხარეთა ასსნა-განმარტებას, მათ პაექრობას („რომელი სიტყუის-გებაჲ იყო მათ შორის, მოვისმინეთ“) და მხოლოდ შემდეგ აფასებენ დამამტკიცებელ საბუთებს.

ამ შემთხვევაში ძირითადი დამამტკიცებელი საბუთი სიგელები იყო. სასამართლოს შეფასებით, მიჯნაძორელთა სიგელები უფრო დამაჯერებელი იყო როგორც სიმრავლით, ისე სიმტკიცით („... სამართლად ესე გავიგონეთ, რომელ კელნი ამათნი მრავალნი და მტკიცენი იყუნეს“).

აქ ყურადღებას იქცევს რამდენიმე გარემოება:

როგორც ცნობილია, შუა საუკუნეებში აღმოსავლეთის რიგ ქვეყნებში, რუსეთსა და ევროპის სახელმწიფოებში, სხვა საშუალებებით დაუდგენელი ბრალდების დროს, დამამტკიცებელ საბუთად ითვლებოდა ორდალიები — შანთითა და მდულარით გამოცდა, ორთაბრძოლა — სასამართლო დუელი. XI—XII სს. საქართველოში მტკიცებათა ასეთი პრიმიტიული სახეები არ უნდა არსებულიყო. უპირატესი ძალის მქონე დამამტკიცებელ საბუთად აქ წერილობითი მტკიცებულებანი ჩანს.

როგორც ვთქვით, სასამართლო პროცესზე მეფემ მიიწვია „მეცნიერნი საბჭოთა საქმეთანი“ — სამართლის სწავლულები. ცხადია, ეს ის პირნი იყვნენ, ვისაც სათანადო ცოდნა და განათლება გააჩნდა. როგორც ჩანს, მაშინდელ სასწავლო დაწესებულებებში, სხვა საგნებთან ერთად, სამართალსაც ასწავლიდნენ.

ეს ყოველივე მიგვითითებს იმდროინდელი ქართული სამართლებრივი კულტურის მაღალ დონეზე.

აღსანიშნავია, რომ თამარის ეპოქაში ადგილი ჰქონდა სიკვდილით დასჯისა და დამასახიჩრებელი სასჯელების გაუქმების ცდას.

6. ხუროთმოძღვრება. ხელოვნება.

XI—XIII საუკუნეებში ქართული ხუროთმოძღვრება და ხელოვნება განვითარების მწვერვალს აღწევს. ამ პერიოდს განეკუთვნება საერო და საეკლესიო არქიტექტურის, კედლისა და წიგნის მხატვ-

რობის, რელიეფური ქანდაკების, ოქრომქანდაკებლობის ბრწყინვალე ნიმუშები.

ა) სურთომოდვრება. საქართველოს შუასაუკუნეობრივი სურთომოდვრება თანდათანობითი შინაგანი განვითარების სურათს გვიხატავს. XI საუკუნეში შეიქმნა ოთხი უმნიშვნელოვანესი ტაძარი, რომლებიც ყველაზე მკაფიოდ წარმოგვიდგენენ ახალ სტილისტურ ნიშნებს. ესენია ბაგრატის ტაძარი ქუთაისში, ალავერდის ტაძარი კახეთში, მცხეთის საკათალიკოსო ტაძარი და სამთავისი ქართლში (კასპის რ-ნი). ყველა მათგანი ჯვარგუმბათოვანი ნაგებობებია; ჯვრის გეგმა ბერძნული ჯვრის ფორმისა კი არ არის (სადაც ოთხივე მკლავი თანაბარი ან დაახლოებით თანაბარი სიგრძისაა), არამედ წაგრძელებული დასავლეთი და აღმოსავლეთი მკლავებით, რაც წინა პერიოდში ჩამოყალიბებული ტრადიციის გაგრძელება-განვითარებაა.

ბაგრატის ტაძარი აიგო ერთიანი საქართველოს პირველი მეფის ბაგრატ III დროს. იგი თავს დაპყრებდა მაშინდელ დედაქალაქ ქუთაისს. წარწერის თანახმად, ტაძრის მშენებლობა 1003 წელს უნდა დაემთავრებინათ. ორი-სამი ათწლეულით გვიანდელია სამხრეთისა და დასავლეთის მდიდრულად მოჩუქურთმებული კარიბჭეები. ტაძრის გეგმა ტრიკონქია (როგორც ოშკისა), მაგრამ ნაწილების შეხამება აქ კიდევ უფრო ჰარმონიულია. წერილობითი წყაროების მოწმობით, ტაძარი შიგნიდან მოზაიკით ყოფილა შემკული ჩუქურთმა, რომელიც ნაგებობას ამკობდა, მსუბუქია, ფაქიზი, ფოთლოვანი და გეომეტრიული ორნამენტით. კარიბჭეთა ჩუქურთმა უფრო ღრმაა, მძლავრი, ფოთლოვანი და გეომეტრიულ ორნამენტს აქ ფრინველთა და ცხოველთა რელიეფური ფიგურებიც ერთვის.

ტაძარი ძლიერ დაზიანებულია. 1691 წ. იგი ააფეთქეს ახალციხის მხრიდან შემოჭრილმა თურქებმა: ჩამოიქცა გუმბათი, კამარები. XIX საუკუნეში დაინგრა დასავლეთი კარიბჭეც.

მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარი იმ ადგილას აიგო, სადაც IV ს. პირველ ნახევარში პირველი ქართული ეკლესია ააშენა მირიან მეფემ, V საუკუნეში კი ვახტანგ გორგასალმა ხის ამ ნაგებობის ადგილას ქვის ეკლესია აღმართა სარესტავრაციო სამუშაოების დროს გამოვლინდა მისი გეგმა, კონსტრუქციებისა და მორთულობის რამდენიმე ფრაგმენტი. XI ს. პირველ მეოთხედში ახალი ტაძარი მელქი-

სედევ კათალიკოსის თაოსნობით აიგო. სურთომოდვარი ყოფილა არსუვისძე, რომლის სახელი ტაძრის ორ წარწერაშია მოხსენიებული; აღმოსავლეთის ფსადზე, შუა თაღის ქვემოთ: „ადიდენ ღმერთმან ქრისტეს მიერ მელიქიზედევ კათალიკოზი, ამენ. აღეშენა ესე წმინდა ეკლესიაა ველითა გლახაკისა მონისა მათისა არსუვისძესითათა, ღმერთმან განუსუენე სულსა მისსა“; ჩრდილოეთით, მთავარი სარკმლის ზემოთ, ორ ქვაზე, რომელთა შორის ჩასმულია მესამე ქვა სელის რელიეფით: „ველი მონისა არსუვისძისაა. შეუნდევთ“. როგორც ჩანს, ამ რელიეფმა წარმოშვა ცნობილი ლეგენდა სვეტიცხოვლის სურთომოდვარისათვის მკლავის მოკვეთის თაობაზე. არსუვისძე უნდა იყოს ტაძრის დასავლეთი კარიბჭის მშენებელიც.

სვეტიცხოვლის მშენებლობა 1010 წელს დაწყებულა და 1029 წელს დასრულებულა. როგორც წარწერიდან ჩანს („განუსვენე სულსა მისსა“), იმავე წელს გარდაცვლილა სურთომოდვარიც. არსუვისძემ გამოიყენა ძველი (V ს.) სვეტიცხოვლის ცალკეული ფრაგმენტები, მაგრამ შექმნა სრულიად ახალი, დამოუკიდებელი ნაგებობა, რომელიც ქართული სურთომოდვრების მთელი წინა განვითარების ორგანული გაგრძელებაა: მისი გეგმა წაგრძელებული სწორკუთხედია, ოთხი თავისუფალი გუმბათქვეშა ბურჯით. მკლავების გადაკვეთის ადგილას აღმართულია მაღალყელიანი გუმბათი. ფსადების მოსართავად გამოყენებულია დეკორაციული თაღები და სარკმელთა სანაპირები. მდიდარი და დახვეწილი ჩუქურთმებიდან დღემდე მხოლოდ ნაწილმა მოაღწია. ფსადების მორთულობა ყველაზე უკეთ დასავლეთითაა გადარჩენილი. აქ განსაკუთრებით იქცევეს ყურადღებას დიდი სარკმლის გარშემო გაშლილი ულამაზესი ჩუქურთმები და ვაზის სტილიზებული გამოსახულებანი. შენობის საფეხურებად აღმართული მასები, დაქანებული სახურავების სისტემა, დასავლეთის მძლავრი კონსტრუქციული თაღები მონუმენტურ იერს ანიჭებს მას. გრანდიოზულია შიდა სივრცეც. შთაბეჭდილების მთლიანობას რამდენადმე არღვევს ძველი მხატვრობის დაღუპვა. სვეტიცხოველი საქართველოს ყველაზე დიდი საეკლესიო ნაგებობაა. იგი მოწმობს სურთომოდვრის დიდ ნიჭიერებას, ოსტატობასა და პრაქტიკულ გამოცდილებას.

XIII საუკუნეში სვეტიცხოველი მიწისძვრამ დააზიანა. გიორგი ბრწყინვალეს დროს იგი აღადგინეს. XIV ს. ბოლოს ტაძარი კვლავ დაზიანდა თემურ-ლენგის შემოსევების დროს. XV ს. პირველ ნახევარ-

რში იგი აღადგინა ალექსანდრე I. სწორედ მაშინდელია ჩვენამდე მოღწეული გუმბათი. XVII საუკუნეში, როსტომის ბრძანებით, ტაძარი ისევ შეაკეთეს. დაზიანებათა და შეკეთებათა მიუხედავად, სვეტიცხოველმა შეინარჩუნა თავდაპირველი დიდებულება და ფორმათა დასვეწილობა.

ბაგრატიისა და სვეტიცხოელის ტაძრებს ენათესავენა ალავერდის კათედრალი — XI ს. პირველი მეოთხედის ძველი კახეთში, თელავთან. კახეთის ძეგლებს საერთოდ ახასიათებს სიმაღლე, ალავერდის ტაძარი კი ყველაზე მაღალია საქართველოში ასევე ყველაზე გრანდიოზულია ალავერდის შიდა სივრცე. ფასადთა მორთულობაში აქაც ვხვდებით დეკორატიული თაღების სისტემას, მაგრამ კედლები „შიშველია“, ჩუქურთმისა და ყოველგვარი შემკულობის გარეშე. შენობის მკაფიო, ნათელი, აზიდული ფორმები ზეცისკენ სწრაფვის საოცარ შთაბეჭდილებას ქმნის. ალავერდის ტაძარი, რომელიც შორიდანვე მოჩანს თოვლიანი კავკასიონის ფონზე, თითქოს გვირგვინად ადგას ალაზნის გაშლილ ველს. კედლები მოხატული ყოფილა, ძველი მხატვრობის მნიშვნელოვანი ფრაგმენტები გამოჩნდა კედლების გაწმენდის დროს.

ალავერდის ტაძარი არაერთხელ დაზიანებულა. XV ს. ბოლო მეოთხედში იგი აღუდგენია კახეთის მეფე ალექსანდრე I. მაშინდელია გუმბათი და ზოგიერთი სხვა ელემენტიც.

1030 წელსაა აშენებული სამთავისის შესანიშნავი ტაძარი. მისი ამგები ყოფილა ვაჩე ყანჩაელის მე, სამთავნელი ეპისკოპოსი ილარიონ. ტაძრის აღმოსავლეთ ფასადზე შემორჩენილია წარწერა: „ხატოღეთაებისაო, შეიწყალე სული ილარიონი (...), ძისა ვაჩე ყანჩაელისი“. მის სახელს უკავშირდება კიდევ ერთი — აშურიანის (ქართლი, კასპის რ-ნი) ეკლესიის აგება (ამასაც წარწერა ვგამცნობს), რომელიც ერთნაეიან მხატვრულად უმნიშვნელო ნაგებობას წარმოადგენს.

სამთავისი შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ერთი საუკეთესო ძეგლთაგანია. იგი გამორჩეულია როგორც მხატვრული ღირებულებით, ისე ისტორიული მნიშვნელობითაც: მისმა გვეგამ, მოცულობამ და მორთულობამ ფართო გავრცელება პოვა და XIII ს. პირველ ნახევრამდე არსებობდა. ამ მხრივ სამთავისი განვითარების მთელი საფეხურის წინამორბედა.

ტაძრის გეგმა უფრო მოკლე და მჭიდროა, ვიდრე XI ს. სხვა ძეგლებისა. იგი თითქმის უახლოვდება კვადრატს. აღმოსავლეთის ფასადზე გამოყენებულია ახალი დეკორატიული კომპოზიცია: დიდი ჯვარი შუა სარკმლის თავზე და ჩუქურთმიანი კვადრატები სარკმლის ქვეშ, დამატებითი დეკორატიული მოტივები შუა თაღის ორივე მხარეს, კედლის კუთხეებში. ეს კომპოზიცია წარმოადგენს მანამდე შექმნილი შუა საუკუნის სხუთთაღიანი სისტემის (მაგალითად, სვეტიცხოელის აღმოსავლეთი ფასადი) განვითარებას მეტი დეკორატიულობის მიმართულებით. შთაბეჭდილებას აძლიერებს ხუროთმოძღვრის მიერ სხვადასხვა ფერის ქვის გამოყენება ფასადის პერანგისათვის, რომელიც დიდი გემოვნებითაა შერჩეული.

სამთავისის ტაძარმა ჩვენამდე შეცვლილი სახით მოადწია. მას აღარა აქვს ძველი კარიბჭეები, გუმბათის ყელი და დასავლეთის კედელი კი XV საუკუნეშია აღდგენილი ამილახორთა მიერ. ზოგი რამ XIX საუკუნეშიც შეუკეთებიათ.

XI ს. ხუროთმოძღვრული ძეგლებიდან უნდა დავასახელოთ იშხნის ძველი ტაძარი ტაოში, რომელიც XI საუკუნეში საფუძვლიანად გადააკეთა ხუროთმოძღვარმა ივანე მორჩაისძემ. სამხრეთის სარკმლის გარშემო მოთავსებული წარწერა მოგვითხრობს: „სახელითა ღმერთისაათა, მე, ანტონი იშხნელ მთავარეპისკოპოსმან განვაახლე და განვასრულე წმიდა ეს ტაძარი ღმერთისა კათოლიკე ეკლესია სადიდებლად ბაგრატ კურაპალატისა, სალოცველად და სასხენებლად სულისა ჩემისა და ცოდვათა ჩემთა შენდობისათჳს ქრონიკონსა სნს (1032 წ.). და ვაშენე ხელითა ივანე მორჩაისძისათა“.

იშხნის ტაძარი პირველად VII საუკუნეში აშენდა. ეს იყო ტეტრაკონქი გარს შემოსავლელით (ისევე როგორც ბანა) — მრგვალი შენობა. იგი მალე დაინგრა. მის ნაცვლად ეპისკოპოსმა საბა იშხნელმა IX ს. პირველ ნახევარში ააგო ახალი ტაძარი — ჯვარგუმბათოვანი; წაგრძელებული ჯვრისებრი გეგმით, ოთხ ბოძზე დაყრდნობილი გუმბათით. თავდაპირველი ტაძრის გადარჩენილი აღმოსავლეთი ნაწილი ჩართულ იქნა ახალ ნაგებობაში, როგორც საკურთხეველი. როგორც ჩანს, ივანე მორჩაისძის ხელში მიიღო ტაძარმა საბოლოო, მხატვრულად ჩამოყალიბებული სახე. ფასადთა მორთულობის უდიდესი ნაწილიც მას უნდა ეკუთვნოდეს. მორთულობის სიმდიდრისა და ხარისხის მხრივ იშხნის ტაძარი ერთი გამორჩეულთაგანია ქართულ ტაძართა შორის. აქ გვხვდება მორთულობის ზოგიერთი მოტივი, რომელიც

მღებიც სწორედ სამხრეთ საქართველოში უნდა იყოს შემუშავებული და შემდეგ გავრცელებული საქართველოს დანარჩენ კუთხეებში.

XI ს. განეკუთვნება აგრეთვე მანგლისის ტაძარი, ისიც, როგორც იმხანი, გაფართოებული და გადაკეთებული ამ საუკუნეში; სამთავროს ტაძარი — მცხეთაში; ნიკორწმინდა რაჭაში (1010—1014 წწ.) — ერთ-ერთი უმდიდრესი ძეგლი ჩუქურთმებისა და რელიეფური შემკულობის თვალსაზრისით; ზემო კრიხის (აგრეთვე რაჭაში) ეკლესიის კარიბჭე, რომელიც ხუროთმოძღვრული დეკორის მშვენიერი ნიმუშია: მორთულობა მრავალფეროვან, საინტერესო სახეებს შეიცავს, ჩუქურთმის კვეთა ღრმია, შესრულება — მაღალოსტატური; თავისი ხასიათით ეს ჩუქურთმები ენათესავენ ნიკორწმინდის მორთულობის ზოგიერთ ფენას, აგრეთვე კაცხის ტაძრის გარსშემოსაელების, პატარა ონისა და საფანის ჩუქურთმებს (ყველა XI ს. პირველი ნახევარი). ზემო კრიხის ეკლესიის კარიბჭის ამშენებელი ოსტატი კვირიკე ყოფილა. აღსანიშნავია ერთნავეანი ეკლესიები: ხცისი (1002 წ.) — ხაშურთან, ფოკა — ჯავახეთში, საფანე (1046 წ., ხუროთმოძღვარი შაბაბა), ქორეთი, ეხვევი (ორივე — მდ. ყვირილას ხეობაში).

XII ს. პირველი ნახევრის ძეგლთაგან უმნიშვნელოვანესია გელათის ღვთისმშობლის დიდი ტაძარი. დავით აღმაშენებლის მიერ 1106 წ. დაარსებული გელათის მონასტერი XII—XIII სს. თანდათან იზრდებოდა და დიდ ხუროთმოძღვრულ ანსამბლად ჩამოყალიბდა: ღვთისმშობლის სახელობის დიდი ტაძრის გარდა, აშენდა წმ. გიორგისა და წმ. ნიკოლოზის ეკლესიები, სამრეკლო და აკადემიის შენობა.

მთავარ ტაძარს დასავლეთით, ჩრდილოეთითა და სამხრეთით სტოები ეკვრის, აღმოსავლეთით კი სამი შეერილი აფსიდი აქვს. ეს განსაკუთრებულ პლასტიკურობას ანიჭებს შენობას. ფასადთა მორთულობის საფუძველი აქაც დეკორატიული თაღებია, მაგრამ ჩუქურთმა ცოტაა. შესაძლოა, ტაძრის ფასადის შემკობა დაუმთავრებელი დარჩა. შიდა სივრცე ძალიან ფართოა, შუქით და ჰაერით სავსე; გუმბათის ყელის სარკმლების გარდა, მას ანათებს დასავლეთის, ჩრდილოეთისა და სამხრეთის უზარმაზარი სარკმლები.

ტაძარში შესულის ყურადღებას, პირველ რიგში, იქცევს საკურთხევის მოზაიკა — ღვთისმშობელი ყრმით და ორი მთავარანგელოზით. კედელ-კამარათა მოხატულობა სხვადასხვა დროისაა — XII საუკუნით დაწყებული და XIII საუკუნით დამთავრებული.

წმ. გიორგის ეკლესია შემცირებული ზომით იმეორებს მთავარი ტაძრის ფორმებს. სამრეკლო XIII საუკუნისაა და ერთ-ერთი უძველესია საქართველოში.

XII ს. შუა ხანების ძეგლებიდან აღსანიშნავია თიღვის გუმბათოვანი ეკლესია (ახლ. ყორნისის რ-ნი), რომელიც 1152 წ. აუგია დავით აღმაშენებლის ასულს — თამარს, და საორბისის პატარა სამლოცველო (მდ. თეძამის ხეობა) მშვენიერად მოჩუქურთმებული სარკმლით — ისიც 1152 წლისა.

XII ს. ბოლო მეოთხედსა და XIII ს. პირველ ნახევარს განეკუთვნება ჯვარგუმბათოვან ტაძართა მოზრდილი ჯგუფი, რომლებიც სტილისტურად XI ს. ძეგლებს უახლოვდებიან, მაგრამ ზომით უფრო მცირენი არიან. ისინი მხატვრული თვალსაზრისით მრავალი ღირსებით გამოირჩევიან. მათი მშენებლები, უმეტეს შემთხვევაში, ბერად აღკვეცილი ფეოდალები იყვნენ. ეს ეკლესიები დასასლებული პუნქტებიდან მოშორებით, ტყიანი ხეობების სიღრმეში მდებარეობს. მათი გეგმა კვადრატს უახლოვდება, გუმბათი ოთხ ბოძს კი აღარ ეყრდნობა, არამედ ორ ბოძსა და საკურთხევლის კედლების შვერილებს. ფასადებზე თანდათან ქრება დეკორატიული თაღები. ეფექტი ემყარება გლუვი კედლის კონტრასტს ძლიერ ინტენსიურად მოჩუქურთმებულ სარკმელთა საპირებთან. გუმბათის ყელი, მჭიდროდ მიჯრილი სარკმლების წყალობით, ერთიან მოჩუქურთმებულ ზედაპირადაა ქცეული. ქვაზე კვეთის ოსტატობა მწვერვალს აღწევს, თუმცა აქა-იქ უკვე თავს იჩენს ჩუქურთმის ერთგვარი სიმშრალე, მოღუნება. იცვლება შენობათა პროპორციებიც: იზრდება გუმბათის ყელის სიმაღლე და აზიდულობა.

ამ ჯგუფის საუკეთესო ნიმუშებია: იკორთის (1172 წ., სოფ. მეჯვრისხევთან, ქართლში), ბეთანიის (ვერეს ხეობაში), ქვათახევის (კავთურის ხეობაში) ეკლესიები — XII—XIII სს. მიჯნისა; ფიტარეთის ეკლესია (თეთრიწყაროს რ-ნი), რომელიც ცნობილია ბრწყინვალე ჩუქურთმებით, წუღრულაშენი (ბოლნისის რ-ნი), დმანისის კარიბჭე — გიორგი ლაშას დროისა; ერთაწმინდა (თეძამის ხეობა), ახტალა (ახლა სომხეთის ფარგლებშია), აგურით ნაშენი ორი გუმბათიანი ეკლესია (აგურის ეკლესიები იმ დროს გამოჩაყლისს შეადგენდა) — ტიმოთესუბანი (ბორჯომის რ-ნი) და ყინწყვისი (ქარელის რ-ნი), რომლებიც, ცხადია, მოკლებულია ჩუქურთმას — XIII ს. პირველი ნახევრისა.

ამავე ჯგუფს მიაკუთვნებენ ერთნავიან ეკლესიებს: ლამაზ საყ-
დარს (ხრამის ხეობა), რომლის წარწერაში მოხსენიებული არაა
თამარ მეფე და დავით სოსლანი, მაღალანთ ეკლესიას (კავთურას
ხეობა, XII—XIII სს. მიჯნა), კაზრეთის (ბოლნისის რ-ნი, XIII ს.
პირველი მეოთხედი), გუდარეხის მონასტრის ეკლესიას (რუსუდანის
დროინდელი) თეთრიწყაროს რაიონში.

თამარ მეფის დროინდელია თბილისის ლურჯი მონასტერიც, მაგ-
რამ იგი ძლიერ დაზიანებულია, XIX საუკუნეში ისე დაამახინჯეს,
რომ თავდაპირველი ნაგებობის მხოლოდ მცირე ფრაგმენტები გალა-
რჩა.

ქართული ხუროთმოძღვრების განვითარების დონისა და სურათის
წარმოსადგენად უთუოდ უნდა მოვიხსენიოთ კლდეში ნაკვეთი დიდი
სამონასტრო ანსამბლები — დავით გარეჯი და ვარძია.

დავით გარეჯი — დავით გარეჯელის მიერ ასურელ მამათა მოღ-
ვაწეობის პერიოდში დაარსებული საფანე, რომელიც თბილისის სამ-
ხრეთ-აღმოსავლეთით 60—70 კმ-ზე მდებარეობს, მთელი შუა საუ-
კუნეების მანძილზე ვითარდებოდა. აქ არსებულ მონასტრებზე (დავი-
თის ლავრა, ბერთუბანი, ნათლისმცემელი, ჩიჩხიტური, დოდოს რქა
და სხვ.) ჩვენ უკვე ვისაუბრეთ. მეტად საინტერესოა კლდეში გამო-
კვეთილი რამდენიმე ასეული სენაკი, სატრაპეზო, ეკლესია, სამლოც-
ველო, რომელთაგან ბევრი მოხატულია, შემკულია მოჩუქურთმებული
კანკელებით.

ვარძია მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს, სამცხე-
ჯავახეთში, ასპინძიდან 30-ოდე კილომეტრზე. მისი მშენებლობა გი-
ორგი III დროს დაიწყო და თამარის დროს დასრულდა. იგი შეეულ
კლდეშია ნაკვეთი, სენაკების რაოდენობა რამდენიმე ასეულს აღწევს.

ისინი მრავალ სართულად არიან განლაგებული, სივრძითაც რამდე-
ნიმე ასეული მეტრი უჭირავთ, ერთმანეთს უკავშირდებიან კლდეშივე
ნაკვეთი გასასვლელებით. სენაკების გარდა, აქ არსებობდა სამეურნეო
დანისწულეების სადგომებიც. გამოყვანილი იყო წყალსადენი სასმელი
და სარწყავი წყლით უზრუნველსაყოფად. განსაკუთრებით აღსანიშ-
ნავია გამოქვაბული ეკლესია, რომელიც მთლიანად მოხატულია. აქ
შემონახულია გიორგი III და თამარის პორტრეტები, ეს უკანასკნე-
ლი უადრესია თამარის ჩვენამდე მოღწეულ გამოსახულებათა შორის.

ვარძიის მახლობლად, თმოგეთან, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე

მდებარეობს მისივე თანამედროვე კლდეში ნაკვეთი სამონასტრო
კომპლექსი — „ვანის ქვაბები“ ან „ვანის ქვაბები“. VIII—XVI სა-
უკუნეებში აქ გამოქვაბულთა მრავალსართულიანი კომპლექსი არსე-
ბულა, რომელიც ჯავახეთის ზეგანიდან კერამიკული მიღებით გა-
მოყვანილი წყაროს წყლით მარაგდებოდა. კომპლექსის ბოლო სარ-
თულზე მცირე გუმბათიანი ეკლესიაა, სადაც შემონახვა XV ს. მეორე
ნახევარში კედელზე მელნით შესრულებული „ვეფხისტყაოსნის“ ორი
სტროფი — ჩვენამდე მოღწეული უძველესი ჩანაწერი შოთა რუსთა-
ეელის პოემისა. შემოგვრჩა ვანისქვაბის მონასტრის XIII საუკუნის
ტიპიკონი, რომელიც ძვირფას საისტორიო წყაროს წარმოადგენს.

საქართველოში გამოქვაბულთა მშენებლობას დიდი ტრადიციები
ქონდა და, სპეციალისტთა აზრით, იმთავითვე ორი მიმართულებით
ვითარდებოდა — საერთო და საკულტო. ქვაბთა შენება წინაურდება
ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ. VI—
VIII საუკუნეებში ბერ-მონაზვნების მეშვეობით ვრცელდება „ქვაბე-
ბში“ ასკეტური ცხოვრების, განდევილობის, სულიერი განწმენდის
იდევები, რაც ქრისტეს გამოქვაბულში დაბადების ფაქტს უკავშირ-
დება.

ჯავახეთში შემორჩენილია კლდეში ნაკვეთი კიდევ რამდენიმე კო-
მპლექსი, მაგრამ ისინი ჯერჯერობით შეუსწავლელია.

საერთო ხუროთმოძღვრების ძეგლებიდან ჩვენამდე შედარებით
უკეთ მოაღწია სასიმაგრო ნაგებობებმა. თითოეული მათგანი საინჟი-
ნრო ხელოვნების შესანიშნავი ნიმუშია. ისინი იცავდნენ მთავარ
გზებს, ხეობებს, ქალაქებს, თითქმის ყველა სიმაგრე ძნელად მისად-
გომ კლდეებზეა გაშენებული, სადაც მასალის მიტანაცა და შენებაც
ძნელი იყო. ისინი ისე ოსტატურადაა დაკავშირებული, თითქმის შე-
ზრდილი მთასთან და კლდესთან (ზოგჯერ სრულიად შეუუღთან),
რომ ძნელი გასარჩევია კლდისა და კედლის მიჯნა. საშენ მასალად
გამოყენებულია წესიერი ფორმის, არცთუ სუფთად გათლილი ქვა. ეს
ციხეები ცეცხლსასროლი იარაღის შემოსვლამდეა აშენებული, ამი-
ტომ მათ არა აქვთ სათოფურები: არც კოშკებია გამოსული საერთო
კონტურს გარეთ. ამ ტიპის ნიმუშებად შეიძლება დავასახელოთ ხერ-
თვისის, აწყურის ციხეები, ოქროს ციხე, თმოგვის ციხე-ქალაქი (ყვე-
ლა — სამცხეში).

სამოქალაქო ნაგებობათა ნაშთები რამდენიმე ნაქალაქარზეა მიკვ-
ლეული, მაგრამ ისინი იმდენად დაზიანებულია, რომ მხოლოდ არქე-

ოლოგიური აღწერადა ხერხდება. ამ ნაგებობების ფორმები, მორთულობა საეკლესიო შენობებისას უახლოვდება, მათი სტილი საერთოა.

სასახლეებიდან მეტ-ნაკლებად გადარჩენილია გეგუთის ციხე-დარბაზი ქუთაისის მახლობლად. მისი ნაწილი XII საუკუნეს მიეკუთვნება, ნაწილი უფრო ძველია. თავდაპირველად ეს იყო მეფის „სანადირო სახლი“ — ერთი ბუხრიანი ოთახი. დიდი სასახლე, წყაროთა ცნობით, გიორგი III აუგია XII ს. 50-იან წლებში. დიდი დარბაზი თლილი ქვის დაახლოებით 3-მეტრიან კვარცხლბეკზე დგას, საშენ მასალად გამოყენებულია აგური, ქვა, მოჭიქული და მოუჭიქავი კრამიტი. მისი შუა ნაწილი გუმბათით იყო გადახურული, გუმბათის ოთხივე მხარეს დარბაზს თითო ღრმა კამაროვანი უბე ჰქონდა, მთლიანად დარბაზი დიდ ჯვრისებრ სივრცეს ქმნიდა. იგი საკმაოდ დიდი იყო: 64×43 მ, სიმაღლე — 20 მ. ეს სააუდიენციო დარბაზი უნდა ყოფილიყო.

სამშვილდის ნაქალაქარის მახლობლად გათხრილია სასახლის ნანგრევები, რომელსაც ვახუშტი უწოდებს ნადარბაზივს — მეფეთა სასახლის ადგილს. არქეოლოგიური მონაცემებით, სასახლეში ინტენსიური ცხოვრება ჩქეფდა XII—XIII საუკუნეებში. სწორედ ამ პერიოდისაა იქ აღმოჩენილი მრავალრიცხოვანი მოჭიქული ჭურჭელი, მინის სამაჯურები, გიორგი ლაშას სპილენძის ფული.

საერო ნაგებობათა რიცხვს ეკუთვნის გელათის აკადემიის შენობა — ერთსართულიანი ნაგებობა, რომელიც დიდი საკრებულო დარბაზისა და ორი შესასვლელი კარიბჭისაგან შედგება; დარბაზს თაღოვანი სარკმლები ჰქონია. შესასვლელად აქვს ოთხსვეტიანი სტოა, რომელსაც ამშვენებს ჩუქურთმითა და ჯვარი და ღომის გამოსახულება. დარბაზის კედლების გასწვრივ ქვის განიერი მერხებია, შუაში — მარმარილოს მერხი (შესაძლოა, მოძღვართა კათედრა). კედლებში დატანებულია თახჩები. შენობას ორფერდა სახურავი ჰქონია. იქვე იყო სხვა სენაკებიც.

ნაგებობათა მეტად საინტერესო ჯგუფს ქმნის ე. წ. სახიზარი ქაზები — ხვამლის, ბეთლემის და თრეხვისა.

ხვამლის ქაზები გამოკვეთილია იმერეთ-ლენჩხუმის საზღვარზე მდებარე კირქვის უზარმაზარ კლდეში. მთავარი ქაზი კარსტული წარმოშობისაა, შემდეგ ხელოვნურად გაფართოებული. შგ ორი-სამი სართული ყოფილა მოწყობილი. წინიდან ქაზი ამოზღუდული იყო

ქვითკირის მკვიდრი კედლით, რომელშიც სარკმლები და საჭვრეტებია დატანებული. ამ ქაზს ზემოთ, კლდეში გამოკვეთილია მცირე, მეტად ძნელადმისადგომი ქაზი. წერილობითი წყაროები და ხალხური თქმულებები მას სახელმწიფო ქონების სამალავად (სახიზრად) მიიჩნევენ. იქვე ყოფილა მცველი რაზმის სადგომიც. შესაძლოა, ამ ნაგებობის მოწყობა უფრო XIII ს. მეორე მეოთხედის შემდგომ იყოს სავარაუდებელი, როცა საქართველოში მტრის განუწყვეტელი შემოსევების (ჯალალედინი, მონღოლები) შედეგად შიშიანობამ დაისადგურა.

კიდევ უფრო მიუდგომელი იყო მყინვარწვერის კლდეში 4199 მ. სიმაღლეზე გამოკვეთილი ბეთლემის ქაზი, რომლის რკინის კარი მხოლოდ იქიდან გადმოშვებული რკინის ჯაჭვით იღებოდა. ანდრეიტ-ბაზალტის კლდოვან კედლებთან ჩამოსაჯდომებია გაკეთებული (გამოკვეთილი). ერთ კედელთან დგას ტრაპეზის ქვა, რომელზეც ჯვარია ამოკვეთილი. ეს ქვაბი „სვეტიცხოვლის სამკაულის სახიზარი“ ყოფილა.

სოფ. თრეხვში (ქარელის რ-ნი), მტკვრის შენაკად მდ. ხვედრულას ნაპირზე, მაღალ კლდეში არსებული ქვაბებიდან ერთ-ერთში, რომელიც წინიდან ამოშენებულია, აღმოჩნდა სტელა ქართული ასომთავრული წარწერით: „მე, ლეონტი მროველმან, დიდითა მოჭირვებითა აღვაშენე ესე ქვაბი ხატისათვის ღმერთებისა და დღესა ჭირისასა ნავთსაყუდელად რუისისა საყდრისა შეილთათჳს ჟამთა შინა აღფ-არსლან სულტანისაგან ოხრობისათა“. როგორც ვხედავთ, წარწერა, რომელიც 1066 წლით თარიღდება, ეკუთვნის რუისის ტაძრის ეპისკოპოსს, ჩვენთვის კარგად ცნობილ ლეონტი მროველს, რომელსაც თურქ-სელჯუკთა შემოსევის დროს აუგია ეს სახიზარი.

საინჟინრო ნაგებობათაგან ყურადღებას იქცევს ჰიდროტექნიკური ძეგლები — წყალსადენები და არხები.

წყალსადენთაგან აღსანიშნავია სხალტბა-შიომღვიმის თამარის-დროინდელი წყალსადენი, რომელიც სოფ. სხალტბიდან აწვდიდა წყაროს წყალს შიომღვიმის მონასტერს. ერთი სივლის ცნობით, იგი 1199—1202 წლებში გაუყვანიათ თამარის მწიგნობართ-უხუცესის ანტონ ჭყონდიდელის თაოსნობითა და სახსრებით. წყალსადენს, რომლის სიგრძე 2 კილომეტრია, ორი ტრასა ჰქონია — მონასტრისათვის და სოფლებისათვის. მიღებში წყალს დინებით უმოძრავია, ყოველგვარი წნევის გარეშე. წყალსადე-

ნი მთაში გადის (მთა გახვრეტილია), სამუშაო მაღალ ტექნიკურ დონეზეა შესრულებული. წყალსადენის ტრასას გარკვეულ მანძილზე დატანებული ჰქონია სპეციალური საკონტროლო ჯურჯლები — თანგირები. ორ კომლ გლესს ეკისრებოდა „სამსახური მის წყაროსი“.

წყალსადენები აღმოჩნდა აგრეთვე სამშვილდესთან — ნადარბაზევში და არმაზისხევის მონასტრის მახლობლად. აქედან პირველი წყალს აწვდიდა სასახლეს, რომელიც 70 მეტრით დაბლაა, ვიდრე სათავე, მაგრამ გაცილებით მაღლა, ვიდრე დაბლობი, რომელზეც წყალსადენი სათავედან ჩამოდიოდა. ამიტომ იქ წყალი დაწნევით მიედინებოდა.

კიდევ ერთი საინტერესო ძეგლია ვარძიის ქვაბოვანი წყარო, რომლის სათავე ხევშია, მტკვარგაღმა 6 კილომეტრზე. წყალსადენი მილები მტრისათვის შეუმჩნეველი იქნებოდა, რადგან თითქმის მთელ სიგრძეზე მიუყვება კლდეში გაჭრილ გვირაბს.

სარწყავი არხებიდან წერილობითი წყაროები იხსენიებს ალაზნისა და სამგორის არხებს, რომელთა გაყვანას თამარ მეფეს მიაწერენ. ალაზნის არხის სათავე მიკვლეულია ალავერდის ტაძრის ახლოს. იგი მიედინება ველისციხე-ბაკურციხე-არხილოსკალომდე, სადაც ისევ ალაზნის ერთვის. არხის სიგრძე 119 კილომეტრია. წყალგამტარიანობით ალაზნის თანამედროვე არხს უტოლდება. ვარდნა მცირე ჰქონია და არაფერს წაღეკავდა.

საყურადღებო ძეგლებია XI—XII სს. ხიდები: ბესლეთისა (სოხუმთან) და დონდალოსი (აჭარაში).

ბ) ხელოვნება. XI—XIII სს. ვითარდებოდა ხელოვნების ის დარგები, რომელთაც საფუძველი წინა პერიოდში ჩაეყარა — ფრესკული მხატვრობა, წიგნის მხატვრობა, რელიეფური ქანდაკება, ოქრომჭედლობა, გამოყენებითი ხელოვნება.

XI—XII სს. განეკუთვნება ეკლესიათა მთლიანი მოხატულობის პირველი ნიმუშები. ამ პერიოდის ფრესკული მხატვრობისათვის დამახასიათებელია მოხატულობის მკაცრი მონუმენტურობა, მისი ჰარმონიული შეთანხმება ინტერიერის ხუროთმოძღვრულ დანაწევრებასთან. სცენებისა და გამოსახულებათა რაოდენობა განსაზღვრულია. მხატვრობის საღვთისმეტყველო და ესთეტიკური პროგრამა ბიზანტიისაგანაა შეთვისებული.

ამ დროს საქართველოში ფერწერის რამდენიმე ადგილობრივი

სკოლა განირჩევა. ერთ-ერთი მათგანია ტაო-კლარჯეთის სკოლა, რომლის ძეგლები (ოთხთა ეკლესიის, იშხნის, ხახულის, ოშკის, ტბეთის ფრესკები) საზეიმო-მონუმენტური ხასიათით გამოირჩევა. ცალკე სკოლა ჩამოყალიბდა დავით-გარეჯში. აქ მხატვრობა მცირე გამოქვაბულებს ამკობს, სცენები ნაკლებ მონუმენტურია, ფერები — ხალისიანი. დიდი ადგილი უჭირავს დავით გარეჯელის ცხოვრების ორიგინალურ ციკლს. საინტერესო სამხატვრო სკოლა ჩამოყალიბდა სვანეთსა და რაჭაში. სვანეთის პატარა ერთნავეანი ეკლესიებისათვის დამახასიათებელია ზომიერი ფერადონება და თავისებური იკონოგრაფია: ძალიან გაფრცხლებულია წმ. გიორგისა და წმ. თევდორეს გამოსახულებები, რომელთა კულტი სვანეთში დიდად ფესვადგმული იყო.

სვანეთმა შემოგვინახა „მეფის მხატვარ“ თევდორეს სახელი, რომელსაც უკავშირდება ზემო სვანეთის ოთხი ეკლესიის მოხატულობა: იფარის, კვირიკეს და ივლიტესი, ნაკიფარის და წვირმის. თევდორეს სახელი იფარისა და ნაკიფარის ეკლესიათა წარწერებში იხსენიება, დანარჩენ ორ მოხატულობას კი მკვლევრები მიაკუთვნებენ თევდორესა და ამის მოწაფეებს. ყველაზე ადრინდელია იფარის ეკლესიის მოხატულობა. კანკელის ფრესკული წარწერა გვაუწყებს: „მოიხატა და შეიმკო წმიდაა ესე ეკლესია იფარის ჰევისა... ჰელითა თევდორე მეფის მხატვრისაითა“. მოცემულია თარიღიც — 1096 წ. ამას მოსდევს კვირიკესა და ივლიტეს ეკლესია, რომელიც, წარწერის თანახმად, 1112 წ. მოუხატა; შემდეგ მოდის ნაკიფარის მხატვრობა 1130 წლისა, სადაც კვლავ იხსენიება თევდორე, დაბოლოს, წვირმის მაცხოვრის ეკლესიის მოხატულობა, რომელიც, მკვლევართა აზრით, თევდორეს მოწაფეთა შესრულებული უნდა იყოს მისივე თანამონაწილეობით.

წოდება „მეფის მხატვარი“ იმის მაჩვენებელია, რომ თევდორეს მეფის კარზე და მეფისათვის უმუშავია. მაშასადამე, იგი დავით აღმაშენებლისა და, შესაძლოა დემეტრე I მხატვარი იყო. მაგრამ წარმოშობით თევდორე სვანეთიდან უნდა იყოს, რაზეც მიუთითებს მის მოხატულობათა თავისებურება, დამახასიათებელი მხოლოდ სვანეთისათვის. მაგალითად, საკურთხევლის კონქში გამოსახულია არა დვთისმშობელი, როგორც ეს საერთოდ მიღებულია, არამედ ე. წ. კედრება — გამოსახულება, რომლის ცენტრშია ქრისტე, მის მარჯვნივ — ღვთისმშობელი, მარცხნივ — იოანე ნათლისმცემელი. თევდორეს

მხატვრობის განუყოფელი ელემენტია წმ. გიორგისა და წმ. თევდორეს გამოსახულებები, რომლებიც ასევე დამახასიათებელია სვანეთისათვის, აგრეთვე წმ. ბარბალესა და წმ. ეკატერინეს, დედა-შვილ კვირიკესა და ივლიტესი.

თევდორე შუა საუკუნეების ერთადერთი ქართველი მხატვარია, რომლის შემოქმედების განვითარებას, ბედნიერი შემთხვევითობის წყალობით, შეგვიძლია თვალი მივადევნოთ. ჩვენ ვხედავთ ევოლუციას შკაცრად მონუმენტური, სტატიკური კომპოზიციებიდან (იფრარი) შეტი დინამიურობისა და დეკორაციულობისაკენ (კვირიკე და ივლიტე, ნაკიფარი).

სვანეთში მუშაობდა აგრეთვე მხატვარი მიქაელ მადლაკელი, რომლის მოხატულია მაცხვარიშის ეკლესია (ლატალის თემში). მხატვრობა 1140 წლით თარიღდება. ეს ერთნავეიანი ეკლესია კედელ-კამარის ანადაა მოხატული, მაგრამ განსაკუთრებით აღსანიშნავია ჩრდილოეთი კედლის მარცხენა თაღის მხატვრობა: მეფე დემეტრე I, რომელსაც, წარწერის თანახმად, „ჯრმაღსა აბმენ დავითისსა ერისთავნი“. მიქაელმა აქ აღბეჭდა საქართველოში თამარის დრომდე არსებული წესი, რომლის თანახმადაც ხმლის შებმა — მეფის კურთხევის ცერემონიის ნაწილი — ფეოდალთა პრივილეგიას შეადგენდა.

მნიშვნელოვანია რაჭის სოფ. ზემო კრიხის (ამბროლაურის რ-ნი) ეკლესიის მხატვრობა (XI ს.) ადგილობრივ ფეოდალთა საინტერესო პორტრეტებით.

თანდათანობით, საქართველოს გაერთიანების კვალდაკვალ, უპირატეს მნიშვნელობას დედაქალაქისა და უმთავრესი ცენტრების სკოლები იძენს.

XI ს. ქართული მონუმენტური მხატვრობის შესანიშნავი ძეგლია ატენის სიონის მოხატულობა (60-იანი წლები).

გელათის დიდ ტაძარში, გვიანდელ ფრესკებთან ერთად, შემორჩენილია საკურთხეველის კონქის შესანიშნავი მოზაიკა (XII ს.) — დეტალური ყრმით და ორი მთავარანგელოზი. XII ს. ფრესკებია დასავლეთის მინაშენშიც; აქ გამოსახულია შვიდი მსოფლიო საეკლესიო კრების სცენები.

XII—XIII სს. მიჯნასა და XIII ს. პირველ ნახევარს განეკუთვნება ვარძიის, ბეთანიის, ყინწვისის, ბერთუბნის, ახტალის ფრესკები. მათთვის დამახასიათებელია კომპოზიციის დეკორაციულობა და დინამიურობა, ფერთა შესანიშნავი შეხამება. დიდ ინტერესს იწვევს ის-

ტორიულ პირთა პორტრეტები, კერძოდ, თამარის ოთხი პორტრეტი, შესრულებული მისსავე სიციცხლეში: უადრესი — ვარძიის ფრესკა (1181—1184 წწ.), ახალგაზრდა თამარის წინ აქ მისი მამა, მეფე გიორგი III დგას. ბეთანიისა და ყინწვისის ფრესკებზე გიორგი III და თამართან ერთად ჭაბუკი ლაშა გიორგიცაა გამოსახული, ყველაზე გვიანდელ — ბერთუბნის ფრესკაზე კი მხოლოდ თამარია ძესთან ერთად.

ღირებვით გამოირჩევა ყინწვისის ანგელოზის ფიგურა „აღდგომის“ სცენიდან.

XI—XIII საუკუნეებიდან შემოგვრჩა წიგნის მხატვრობის შესანიშნავი ნიმუშები. წიგნზე მოთხოვნილება დიდი იყო. ქართული წიგნი მზადდებოდა როგორც საქართველოში, ასევე უცხოეთის ქართულ საეკლესიოში.

არსებობდა „მწერალთა“ და მინიატურისტთა მთელი დინასტიები. წიგნის მხატვრობა გარკვეულ ცვლილებებს განიცდის: ფურცლის გაფორმება მდიდრდება, შემოდის სინგური, ჩნდება ოქრნამენტული თავსამკაულები და ბოლოსართები. მორთული ხელნაწერების უმრავლესობა სასულიერო წიგნებია, ამ მხრივ გამოჩნდის XII ს. მიწურულში (1188 წ.) ასტრონომიული ტრაქტატი, დასურათებული ზოდიაქოს ნიშნებით.

XI საუკუნეში რელიეფურ ქანდაკებაში თავს იჩინს ინტერესი ადამიანის რეალურად გადმოცემული ფიგურის, სწორი პროპორციებისადმი, ისახება სკულპტურულობა.

საფასადო სკულპტურის უმნიშვნელოვანესი ნიმუშია ნიკორწმინდის რელიეფები (XI ს. დასაწყისი). მათი სიუჟეტები გვიხატავს საღმრთო წერილის სხვადასხვა სცენას (ფერისცვალება, მეორედ მოსვლა, ტახტზე მჯდომი ქრისტე და სხვ.), აგრეთვე ცალკეულ წმინდანებს. რელიეფები, რომლებიც შინაარსობრივად ქრისტეს დიდების იდეას გადმოგვცემენ, ორგანულადაა ჩართული ფასადთა საერთო დეკორაციულ სისტემაში. გვხვდება ცხოველთა ფიგურებიც — მათი ნაწილი სიმბოლურ-ალეგორიული ხასიათისაა, ნაწილი უძველეს ხალხურ რწმენასთანაა დაკავშირებული. აქ არის სიბრტყობრივი, დეკორაციულ-მონუმენტური სცენებიც და ისეთი ფიგურებიც (შესასვლელების თავზე), სადაც უკვე მკაფანდება ინტერესი მოცულობისა და ბუნებრივი მოძრაობის გადმოცემისადმი.

ზის ყდა ჰქონდა. მაგრამ ხელნაწერის ბოლოს დართულ ანდერძში, რომელიც სოფრომ მწიგნობარს ეკუთვნის და, რომელშიც მოხსენიებული არიან თამარ მეფე, დავით სოსლანი და მათი ძე ლაშა გიორგი, ნათქვამია: „მოვაჭედინე ღმერთისა მიერ კუთხეულს, ღირსსა ოქრო-ს მქანდაკებელსა ბექასა“. ეს სიტყვები იმითაცაა საყურადღებო, რომ გვიჩვენებს ბექა ოპიზარისადმი თანამედროვეთა დამოკიდებულებას. მოჭედდილობა 1193—1207 წწ. შუა უნდა იყოს შესრულებული.

სახელგანთქმული ანჩისხატის ჩარჩო (მოთქრული ვერცხლისა) ბექამ ანჩის ეპისკოპოს იოანე ანჩელ-რკინაელის შეკვეთით მოჭედა. მაცხოვრის ეს ხატი ხელთუქმნელად და საქართველოში ანდრია პირველწოდებულის მოტანილად მიჩნეული. ჩარჩოს ქვემო წარწერა გვაუწყებს: „ქ. ბრძანებითა და ნივთისა ბოქებითა ღმრთივ გვირგვინოსნისა დიდისა დედოფალთ დედოფლისა თამარისათა, მე, იონე ანჩელმან რკინაელმან ჯელვყავ საშინელისა ამისა ხატისა პატივით მოჭედად, მფარველმცა არს მეფობისა მათისა აქა და საუკუნესა. მოჭედა ჯელითა ბექასითა, ქრისტე შეიწყალე“. მოგვიანებით ხატი სამცხის ათაბაგის ოჯახს ეკუთვნოდა, XVII საუკუნეში კი თბილისს ჩამოიტანეს და დაასვენეს ვახტანგ გორგასლის ძის, დარის დროს აგებულ ეკლესიაში, რომელსაც ამის შემდეგ ანჩისხატი ეწოდება. ამჟამად ანჩის ხატი საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმშია დაცული.

ბექას ეკუთვნის მხოლოდ ხატის ჩარჩოს მოჭედდილობა, ხატის კარისა და საკუთრივ მაცხოვრის გამოსახულების მოჭედდილობა გვიანდელია და სხვადასხვა დროსაა შესრულებული. ჩარჩო სიმაღლით 1 მეტრზე მეტია, სიგანით — 70 სმ. ესაა მცენარეული ჩუქურთმით შემკული ფართო არშია, რომელიც ალაგ-ალაგ წყდება და ადვილს უთმობს სკულპტურულ ფიგურებს. ეს ფიგურები, არსებითად, ვედრების კომპოზიციას ქმნის; მარცხენა შვეულ არშიაზე ღვთისმშობლის ფიგურაა, მარჯვენაზე, მის პირდაპირ — იოანე ნათლისმცემლისა; ორივე მაცხოვრის გამოსახულებისკენაა მიმართული. ჩარჩოს ორი ზედა კუთხე მიქელ და გაბრიელ მთავარანგელოზთა გამოსახულებებს უჭირავს. მათ შორის, ცენტრში ე. წ. „საყდრის“ სიმბოლურ-ალეგორიული გამოსახულებაა — სამეფო ტახტი ზედ აღმართული ჯვრით. ქვემო არშიაზე კუთხეებში მოთავსებულია პეტრე და პავლე მოციქულთა, ცენტრში — იოანე მახარებლის სკულპტურული გამოსახულებანი. ორნამენტული არშია შედგება სტილიზებული ფოთლებისაგან,

რომლებიც რელიეფური ზოლით გამოყვანილ სამმაგ წრესაზში ზის. ბექას მაღალ ოსტატობას მოწმობს ვირტუოზული ბრწყინვალეობით შესრულებული ორნამენტული სახეებიცა და სკულპტურული ფიგურებიც.

ბექამ ოპიზარი ბექას უფროსი თანამედროვეა. ჩვენამდე მოაღწია მისმა ერთადერთმა ნამუშევარმა — ბერთის სახარების ვერცხლის ყდის მოჭედდილობამ, რომელიც გელათის მონასტერში ინახებოდა (ამჟამად დაცულია კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში).

ყდის ერთ მხარეს გამოსახულია ჯვარცმა, მეორე მხარეს — ვედრება. ორივე მხარეს ყდის ოთხივე კუთხე უჭირავს ორნამენტულ არშიებს, რომელთა შორის ინტერვალები ძვირფასი თვლების ან კომპოზიციის ფიგურებისთვისაა განკუთვნილი. ვედრების მხარეს ზემო და ქვემო არშიებზე მანძილი ორნამენტულ კუთხეებს შორის შევსებულია მშვენიერი, რელიეფური ასომთავრული წარწერებით, რომელთაგან ერთი გვაუწყებს, რომ ყდა „მოიჭედა ჯელითა ბექამ ოპიზარისაათა“. ბექამ, როგორც ბექა, დახელოვნებული ოსტატი ჩანს.

ოპიზრების შემდგომი ხანის ოქრომჭედლობა როგორც ტექნიკის, ისე მხატვრული თვალსაზრისით აშკარა დაქვეითების ნიშნებს ამჟღავნებს.

XI—XIII საუკუნეებიდან შემოგვრჩა ტიხრული მინანქრის შენანიშნავი ნიმუშები, მათ შორის — შუა საუკუნეების უდიდესი მინანქრის — ხახულის ღვთისმშობლის სახე, რომელმაც მეტად დაზიანებული და ფრაგმენტული სახით მოაღწია. შერჩენილია მხოლოდ სახე და ხელები; მარჯვენა ხელზე მინანქრის ნაწილი ამოვარდნილია. აქა-იქ ემჩნევა შეკეთების კვალი. ღვთისმშობელი ვედრების პოზიციას წარმოადგენილი. გამოსახულება შესრულებულია ოდნავ ამოზურტულ, წმინდა ოქროს ფირფიტაზე, რომელიც მინანქროვანი ფენის გასამაგრებლად, მოფენილია ოქროს წვრილი მავთულებით. ვარდისფერ მინანქარს ალაგ-ალაგ იისფერი და ლილისფერი ელფერი დაჰკრავს. ხელები ნატიფია, გრძელი თითებით, ფრჩხილები თეთრი მინანქრითაა გამოყვანილი.

ხახულის კარედი უზვადაა შემკული მინანქრის ფირფიტებით, ჯვრებით და მედალიონებით. მათი ნაწილი ქართული ხელობაა, ნაწილი — ბიზანტიური. ხახულის მინანქრები X—XII სს. განეკუთვნება.

XII—XIII სს. მინანქრებიდან განსაკუთრებული ფერადონებით გამოირჩევა ფირფიტები „ლაზარეს აღდგინების“, „სულიწმინდის მოფენის“ და ზოგი სხვა გამოსახულებით. ზოგიერთ მრავალფეროვან კომპოზიციაში ჩნდება სივრცობრივი ელემენტები.

განვითარებული იყო გამოყენებითი ხელოვნების სხვადასხვა დარგი. კერამიკული და ლითონის ჭურჭელი მოწმობს, რომ ხელოვნება ყოფა-ცხოვრებაშიც იყო შეღწეული. მრავლადაა გათხრილი ჭურჭლის დამამზადებელი სახელოსნოები. ფართოდ გამოიყენებოდა მხატვრული ქსოვილები. ვითარდებოდა გლიპტიკა — ძვირფასი ქვების, საბეჭდავების დამზადება. გამოირჩევა გიორგი III საბეჭდავი, დამზადებული მთლიანი ოქროსაგან, შემკული წმ. გიორგის გამოსახულებითა და ორნამენტული სახეებით.

ქართული კულტურის სტაბილიზაცია (XIII—XV სს.)

XIII—XV საუკუნეები ერთი უმძიმესი ხანათაგანია საქართველოს ისტორიაში. მონღოლ-თათართა პირველი გამოჩენიდან (1220 წ.) მოყოლებული, ქვეყანას თითქმის არ ჰქონია მშვიდობიანი არსებობის ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივი პერიოდი. სამი საუკუნის განმავლობაში დამპყრობთა ახალ-ახალი ტალღა განუწყვეტლივ ცვლიდა ერთმანეთს. მონღოლებისა და ჯალალედინის ლაშქრობებმა, თემურლენგის გამანადგურებელმა შემოსევებმა დიდად შეამცირა მოსახლეობის რიცხვი, დაცემის გზაზე დააყენა ეკონომიკა, შეანეღა და შეაფერხა კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობა. კულტურის მრავალი კერა მიწასთან გასწორდა. „იყო ყოველი ესე საქართველო... უნუგეშინისცემოდ განსრული, და სრულიად აოხრებული დედაქალაქი მცხეთა და დიდი წმიდა კათოლიკე ეკლესია, და ეგრეთვე ყოველნივე ეკლესიანი, საყდარნი და ციხენი ყოველნივე სრულიად საფუძველითურთ დაექცია და მოეოხრებინა, და ყოველნი სულნი ქრისტიანენი დედაწულითურთ ტყუე ექმნა“, — ასე აგვიწერს მემამტიანე საქართველოს მაშინდელ მდგომარეობას. თემურლენგის შემოსევების შემდეგ ქართულ ენაში დამკვიდრდა სიტყვები: „ნაქალაქარი“, „ნადაბური“, „ნასოფლარი“, „ნაფუძარი“, „ნავენახარი“, „ნასახლარი“ და სხვ.

მიუხედავად უმძიმესი პირობებისა, ქართველობამ და ქართულმა სახელმწიფომ არსებობა შეინარჩუნა. კულტურული ცხოვრება თუმცა დაქვეითდა, მაგრამ არ ჩამკვდარა. შეიქმნა კულტურისა და ლიტერატურის შესანიშნავი ძეგლები, აღდგა და გადაიწერა წინა დროს მრავალი მნიშვნელოვანი თხზულება, რომელთაც სწორედ ამ გზით მოადწიეს ჩვენამდე. საგანგებო ზრუნვის საგანი იყო უცხოეთში არსებული ქართული კულტურის კერები.